სააპელაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

აპელანტი: შენიშვნა-1

.ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	1. 204952676	თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №39ბ, 4 სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		2 22 38 74		greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე, 3354		
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

1. საქართველოს მთავრობა 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		თბილისი, ინგოროყვას ქ.№7 თბილისი, მარშალ გელოვანის №6
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი ШЕНИШВНА-9

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

ШЕНИШВНА-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

ШЕНИШВНА-11

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
განმხილველი მოსამართლე:	ნინო ბუაჩიძე
საქმის ნომერი:	№3/3431-18
მიღების თარიღი:	2018 წლის 29 ნოემბერი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად	☒	
ნაწილობრივ	☐	

რომელ ნაწილში?

ШЕНИШВНА-12

სააპელაციო მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება სრულად.

ШЕНИШВНА-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სწორად დაადგინა, რომ "გარემოზე ზემოქმედების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულებით გაწერილია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურა, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ნებართვის მიმღები პირის ვალდებულებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარსადგენი დოკუმენტის შექმნისათვის, ისე ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად გასცეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა; რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვის მოწყობა, მასში ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, შენიშვნების წარდგენა და მათი გათვალისწინებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება ერთიანი პროცედურის ნაწილია, რაც გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობისათვის ნებართვის გაცემის საჯაროობის უზრუნველყოფისათვის უნდა განხორციელდეს და რომ სწორედ ამგვარი პორცედურის დაცვით წარმართული ადმინისტრაციული წარმოების შედეგი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელოს სანებართვო საქმიანობა; მაგრამ არასწორად დაადგინა, რომ საქმიანობის განმახროციელებლის მიერ საჯარო განხილვის მოწყობა, მასში ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, საჯაროობის უზრუნველყოფა და ამ პროცედურების დაცვა წარმოადგენს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის შედეგია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანებართვო საქმიანობის შესახებ.

სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ფაქტობრივი გარემოებების ამგვარად დადგენა, ანუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვის პროცედურის ადმინისტრაციულ წარმოებად მიჩნევა ეწინააღმდეგება სზაკ-ის 2.1 მუხლის"კ" ქვეპუნტის, 76-ე, 78-ე, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24.4, 25.1 მუხლები, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6, მე-7 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-3 სეკუნდა, მე-4 მუხლების მოთხოვნებს, რადგანაც:

მტკიცებულება:

ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

განსახილველ შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც ეფუძნება სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღის განსაზღვრა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის ფაქტობრივ გარემოებებში სასამართლომ განზრახ, მიზანმიმართულად არ იმსჯელა და არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, თუ კონკრეტულად როდის დაიწყო ადმინისტრაციულმა ორგანომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება (იხ. გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებები).

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა იწყება ნებართვის მაძიებლის

მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის დღიდან. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად შპს "დიდოსტატმა" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა 2018 წლის 31 იანვარს და წარუდგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით დადგენილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე ცალსახად დასტურდება, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2018 წლის 31 იანვარს და არა 2017 წლის 17 ნოემბერს, რა დროსაც შპს "დიდოსტატმა" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა მხოლოდ გზშ-ს სამუშაო ვარიანტი და აცნობა მისი საჯარო განხილვის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებაში, რომელიც მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა არ არის წარმოდგენილი საქმიანობის განმახორციელებლის მოთხოვნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 შენიშვნა-17 შენიშვნა-18.

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

	მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☒	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☒	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება განხორციელებულია ცალმხრივად, არასრულად, ტენდენციურად და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები.

კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. გადაწყვეტილებაში ნორმების

შინაარსის დაწვრილებით აღწერა არამცდაარამც არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ამ ნორმების გამოყენებას, მით უფრო კონკრეტული სადავო შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. კანონის მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე იმ ვითარებაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, მოსარჩელე არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, კონკრეტული მტკიცებულების მითითებისა და წარდგენის გზით დაადასტუროს ის გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ანუ დაასაბუთოს თავისი სარჩელი.

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი სარჩელითა და თანდართული მტკიცებულებებით, დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულია და შესაბამისი მტკიცებულებებით დამტკიცებულია მოთხოვნის წარმოშობისათვის კანონით გათვალიწინებული წინაპირობების დამადასტურებელი რელევანტური გარემოებები, ხოლო შესაგებლითა და თანდართული მტკიცებულებებით, სადაც არსებითად არ არის შედავებული სარჩელში მითითებული გარემოებები და არც მოთხოვნის წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულებებია გაქარწყლებული. თუმცა აღნიშნულის შესახებ რაიმე მსჯელობა და დასაბუთება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არ არის, რითაც უხეშად დაირღვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებითობის პრინციპი.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე.

გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას.

იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ამომწურავად, სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შესახებ, შესაბამისად არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

5. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48.1 მუხლი. კერძოდ: სასამართლომ განმარტა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესის შემოღებით, კანონმდებლის მიზანი იყო გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოექცია საქმიანობის განხორციელების განაცხადის მქონე პირთა ის ქმედებები, რომელთაც ახალი კანონის ამოქმედებამდე განახორციელეს (სასამართლომ განზრახ გამოტოვა ამ ნორმის უმთავრესი დანაწესი - 2018 წლის 1 იანვრამდე "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში) კანონითა და ნორმატიული აქტით დადგენილი წესით აუცილებელი მოქმედებები (მათ შორის გზშ-ს საჯარო განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად. საყურადღებოა, რომ სასამართლომ დასახელებული ნორმის განმარტებაში იმიტომ, რომ სხვაგვარად, კანონმდებლობით დადგენილი წესით უკვე მომზადებული დოკუმენტის მფლობელ პირზე (საქმიანობის განმახორციელებელი) ახლად ამოქმედებული კანონის გავრცელება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინების გარეშე, იწვევს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირის მდგომარეობის გაუარესებას საკუთარი ინციატივით და პასუხისმგებლობით ნორმის შინაარსის საწინააღმდეგოდ დაუმატა, რომ ზემოაღნიშნული ნორმით სარგებლობის უფლება აქვს საქმიანობის განხორციელების განაცხადის მქონე იმ პირებს, რომლებმაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყეს გზშ-ს საჯარო განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ჩანაწერი ამ ნორმაში არ არსებობს და იგი საქმიანობის განაცხადის მქონე პირთა მდგომარეობით შეჭირვებული საქმის განმხილველი სასამართლოს "ფანტაზიის ნაყოფია" მხოლოდ.

მიგვაჩნია, რომ ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის როგორც საჯარო მმართველობის კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებით, ისე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებასთან და ეწინააღმდეგება როგორც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, ისე დასახელებული ნორმის მიზანს და შინაარსს, ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით.

კანონმდებელმა აღნიშნული ნორმით ცალსახად, იმპერატიულად განსაზღვრა, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 2018 წლის 1 იანვრამდე არსებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით გაიცემა მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრამდე "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნებართვის ერთ-ერთი სახეა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით, რომლითაც იმპერატიულად არის განსაზღვრული მათ შორის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. კერძოდ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი

ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის 154 დადგენილებით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 4.4 მუხლის თანახმად, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა იწყება ნებართვის მაძიებლის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის დღიდან და არა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროცედურების (საჯარო განხილვის) დაწყების მომენტიდან, რაც გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობისათვის ნებართვის გაცემისათვის კანონით დადგენილი აუცილებელი პროცედურაა და რომლის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელება საქმიანობის განმახორციელებლის და არა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა, თანახმად "გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში მოწყობილი საჯარო განხილვა და მასში ფართო საზოგადოებრიობის, მათ, შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობა საჯარო განხილვას ვერ გადააქცევს ადმინისტრაციულ წარმოებად, ვინაიდან სზაკ-ის 2.1 მუხლის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის არა საქმიანობის განმახორციელებლის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

ამდენად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვის მოწყობა, მასში ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, შენიშვნების წარდგენა და მათი გათვალისწინებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაზღვრული პროცედურის ნაწილია, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ შემდეგ ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმიანობის განმახორციელებლის მოთხოვნის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ.

მითითებული საპროცესო დარღვევების გამო, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად, საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება, რომლითაც ცალსახად დასტურდება, რომ განსახილველ შემთხვევაში მმართველობის ორგანოს საჯარო საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

საჩივრის ფასი შენიშვნა-28	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი შენიშვნა-29	—	150 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა", ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.		

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
20 წუთზე მეტი რადგან ეს დრო დასჭირდება მხარის პოზიციის დასაბუთებას.
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში საქმის დასრულება განივრულია.

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 შენიშვნა-37

დანართი 1: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი; დანართი 2: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.	
ფურცლების საერთო რაოდენობა:	16

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა" აღმასრულებელი დირექტორი	31.01.2019წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.